# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/154

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2024 წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტების საბჭოების 2024 წლის 18 სექტემბრის ოქმების, ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტრუქტურაში გადატანის თაობაზე.
2. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტებს, აღნიშნული საკითხის მომზადება და წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**